სალიცენზიო ხელშეკრულება

შპს „სტუდია მაესტრო"-ს სატელევიზიო არხის რეტრანსლირების შესახებ

ქ. თბილისი

03 იანვარი 2014 წელი

წინამდებერე ხელშეკრულების მხარეები არიან:

ერთი მხრივ, **შპს „სტუდია მაესტრო"** (შემდგომში მოხსენიებული როგორც „მაესტრო" ან „ლიცენზიარი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის ეთერ გადაბაძის სახით

და

მეორე მხრივ, **შპს „ორბი"** (შემდგომში „მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირი" ან „ტრანზიტორი"),წარმოდგენილი მისი დირექტორის მერაბ კორტავას სახით.

(ხელშეკრულებაში მაესტრო და ტრანზიტორი მოხსენიებულნი არიან როგორც „მხარე", ხოლო ერთობლივად „მხარეები")

მხარეები ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას (შემდგომში „ხელშეკრულება") შემდეგზე:

ტერმინთა განმარტებანი:

მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინები განმარტებული იქნება შემდეგი შინაარსით:

სატელევიზიო არხი - სატელევიზიო გადაცემების/პროგრამების პაკეტი/ერთობლიობა, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა აუდიო-ვიზუალურ ნაწარმოებებს, რომელიც მოიცავს მაგრამ არ შემოიფარგლება ფილმებით, სტუდიური ტელე-გადაცემებით, სარეკლამო რგოლებით, ანონსით, არხის სიმბოლიკით, ლოგოთი თუ სხვა აუდიო-ვიზუალურ მასალით.

რეტრანსლიაცია – „სატელევიზიო არხის" ტრანზიტი - „ტრანზიტორის" საკაბელო ქსელის მეშვეობით, „სატელევიზიო არხის" ხელახალი გადაცემა;

რეალური დროის რეჟიმი – სატელევიზიო არხის რეტრანსლირება ამ არხის შემადგენელი ცალკეული სატელევიზიო გადაცემის თანმიმდევრობის და ქრონომეტრაჟის ყოველგვარი ცვლილების გარეშე.

არხი – შპს სტუდია მაესტროს სატელევიზიო არხი მაესტრო.

ტერიტორია - ფოთი

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1 „ლიცენზიარი" ხელშეკრულების საფუძველზე „ტრანზიტორ"-ს გადასცემს ტერიტორიაზე სატელევიზიო არხის რეტრანსლირების უფლებას (შემდგომში „უფლება") საკაბელო ქსელის საშუალებით.

1.2. „უფლება" არ ვრცელდება ხელშეკრულებით განსაზღვრული სატელევიზიო არხის ინტერნეტ სივრცეში გავრცელებაზე.

1.3. „ლიცენზიარი" „ტრანზიტორ"-ს „უფლებას" გადასცემს უსასყიდლოდ.

1.4. მხარეები თანხმდებიან, რომ „უფლება" სატელევიზიო არხის გავრცელების შესახებ განხორციელდება მხოლოდ რეალური დროის რეჟიმში ტერიტორიაზე.

მუხლი 2.მხარეთა გარანტიები

2.1. „ტრანზიტორი" იძლევა გარანტიას, რომ მას გააჩნია ყველა ტექნიკური საშუალება სატელევიზიო არხის გავრცელების განხორციელებლად ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

2. მხარეები იძლევიან გარანტიას, რომ მათ გააჩნიათ იურიდიული უფლებამოსილება იკისრონ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებები და მიიღონ ყველა საჭირო ზომა ხელშეკრულების ძალაში შესვლისა და შესრულების მიზნით.

მუხლი 3. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

3.1. „მაესტრო" ვალდებულია თავისი დანახარჯებით:

3.1.1.ტრანზიტორს მიაწოდოს მაღალი ხარისხის სიგნალი;

3.2. „ტრანზიტორი" ვალდებულია თავისი დანახარჯებით:

3.2.1.გადასცეს საკაბელო ქსელის საშუალებით მაესტროს სატელევიზიო არხი;

3.2.2. „ტრანზიტორი"-ს კომპანიაში მოსალოდნელი რაიმე ცვლილებების შესახებ 3 (სამი) დღით ადრე აცნობოს მაესტროს;

3.2.3.არ დაუშვას მაესტროს არხის ტრანსლაციის შეწყვეტა ან შეფერხებით გაშვება ნებისმიერი მიზეზით;

3.2.4.მოსალოდნელი ტექნიკური გადაიარაღების შემთხვევაში, 3 (სამი) დღით ადრე აცნობოს მაესტროს, რეტრანსლირების დროებით შესაძლო გათიშვის შესახებ;

3.2.5. არ დაუშვას გადაცემების ან/და პროგრამაში შემავალი რომელიმე გადაცემის ეთერში გასვლის დროის შემცირება, ცვლილება;

3.2.6. არ განახორციელოს რეტრანსლირების უფლების რაიმე ფორმით გადაცემა მესამე პირებისთვის;

3.3. მაესტრო უფლებამოსილია:

3.3.1. მოსთხოვოს „ტრანზიტორ"-ს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ჯეროვნად შესრულება.

მუხლი 4. მხარეთა პასუხისმგებლობა

4.1. ერთ–ერთი მხარის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადო შესრულების შემთხვევაში, ზიანის მიმყენებელი მხარე დაზარალებულ მხარეს მიყენებულ ზიანს უნაზღაურებს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 5. ხელშეკრულების ძალაში შევსლა, მოქმედების ვადა და ხელშეკრულების შეწყვეტა

5.1.წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მისი ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 1 (ერთი) წლის ვადით.

5.2.თუ მხარეებმა ხელშეკრულების ვადის გასვლამდე 30 (ოცდაათი) კალენდარული დღით ადრე არ მიმართეს ერთმანეთს ხელშეკრულების გაუქმების ან ცვლილებების შეტანის შესახებ, ხელშეკრულების ვადა ავტომატურად გრძელდება ერთი წლის ვადით. აღნიშნული წესი მოქმედებს ყოველი ვადის გასვლისას.

5.3. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები:

5.3.1.ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობა ან არასათანადო შესრულება;

5.3.2.მაესტრო უფლებამოსილია ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება მეორე მხარისათვის ხელშეკრულების შეწყვეტის თარიღამდე არანაკლებ 5 (ხუთი) სამუშაო დღით ადრე გაგზავნილი წერილობითი შეტყობინების საფუძველზე.

მუხლი 6. ფორს-მაჟორი

6.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ვალდებულების შეუსრულებლობისათის, თუკი ეს გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალის გარემოებათა გამო.

2. დაუძლეველი ძალა ნიშნავს ისეთ გარემოებებს, რომლებიც არ არსებობენ ხელშეკრულების დადების მომენტისათვის, წარმოიშვნენ მხარეთა ნების გარეშე და რომელთა დადგომის და მოქმედების კონტროლი, აღემატება მხარეთა გონივრულ კონტროლს.

6.3. მხარე, რომელიც ვერ ასრულებს ვალდებულებებს დაუძლეველი ძალის გარემოებათა გამო, ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ მეორე მხარეს 3 (სამი) კალენდარული დღის ვადაში. თუ ასეთი შეტყობინება არ იქნება გაკეთებული აღნიშნულ ვადაში, დამრღვევ მხარეს უფლება არა აქვს პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების მიზნით მიუთითოს ასეთ გარემოებებზე, თუკი შეტყობინების გაუგზავნელობა არ იყო გამოწვეული ამ გარემოებებით.

6.4. დაუძლეველი ძალის გარემოებათა 1 (ერთი) კალენდარულ თვეზე მეტი ხნით არსებობისას, მხარეს, რომელიც არ იმყოფება ასეთი გარემოებების მოქმედების ქვეშ, უფლება აქვს ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება და ამის შესახებ დაუყოვნებლივ წერილობით აცნობოს მეორე მხარეს.

მუხლი 7. დავის გადაწყვეტა

7.1. მხარეები სადავო საკითხებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

7.2. თუ ასეთი შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული, დავა მხარეთა შორის გადაწყდება სასამართლოს მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

8.1. მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომლებიც არ იქნა მოწესრიგებული ხელშეკრულებით, რეგულირებულ იქნება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8.2. მხარეები თანხმდებიან, რომ იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების რომელიმე დებულება ბათილად იქნება ცნობილი, აღნიშნული არ მოახდენს არანაირ გავლენას ხელშეკრულების სხვა მუხლების, ან მთლიანობაში ხელშეკრულების ბათილობაზე.

8.3. მისამართის ან/და საკონტაქტო რეკვიზიტების ცვლილების შემთხვევაში, მხარეები ვალდებულნი არიან 3 (სამი) კალენდარული დღის განმავლობაში შეატყობინონ ერთმანეთს ამის შესახებ.

8.4. ხელშეკრულებაში ცვლილებები და დამატებები შეიძლება შეტანილ იქნეს ორივე მხარის წერილობითი შეთანხმების საფუძველზე.

8.5. ხელშეკრულებაში ცალმხრივად შეტანილი ცვლილებები და დამატებები ბათილია შეტანისთანავე.

8.6. მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულების გაფორმებით წყდება ხელშეკრულების გაფორმებამდე ყველა სხვა შეთანხმება, ხელშეკრულება, რომელიც არსებობდა მხარეებს შორის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სატელევიზიო არხის რეტრანსლირებასთან დაკავშირებით.

8.7. ხელშეკრულების მუხლ(ებ)ი, პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი დანომრილია და დასათაურებულია მხოლოდ მოხერხებულობისათვის და ამ ფაქტს ხელშეკრულების ინტერპრეტაციისათვის მნიშვნელობა არ ენიჭება. მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის დასათაურებაში ან დანომვრაში ცდომილების/სხვაობის არსებობის შემთხვევაში, გამოიყენება ამავე მუხლ(ებ)ის, პუნქტ(ებ)ის ან/და ქვეპუნქტ(ებ)ის შესაბამისი შინაარსის მქონე მუხლები პუნქტ(ებ)ი ან/და ქვეპუნქტ(ებ)ი.

8.8. ხელშეკრულების ტექსტში მექანიკური ან/და ტექნიკური შეცდომის ან/და ხარვეზის არსებობის შემთხვევაში, მხარეთა მიერ, აღნიშნული შეცდომა ან/და ხარვეზი განხილული და განმარტებული უნდა იყოს ხელშეკრულების შესაბამისი წინადადების (წინადადებების) ან/და შინაარსიდან გამომდინარე. იმ შემთხვევაში, აღნიშნული შეცდომა/ხარვეზი არ შეესაბამება ხელშეკრულების სათანადო წინადადებას/წინადადებებს ან შინაარს, მას (ხარვეზი/შეცდომა) ხელშეკრულების შინაარსთან (განმარტებასთან) დაკავშირებით, არ ექნება (არ მიენიჭება) რაიმე მნიშვნელობა.

8.9. მხარეები თანხმდებიან, რომ ნებისმიერი შეტყობინება, რომელიც დადგენილია ან/და საჭიროა ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის, გაგზავნილ უნდა იქნეს ხელშეკრულებაში მითითებულ რეკვიზიტებზე. აღნიშნული რეკვიზიტების ცვლილებების შემთხვევაში, მხარეები კისრულობენ ვალდებულებას ხელშეკრულებიდ[illegible] ვათვალისწინებული ვადაში აცნობონ ერთმანეთს აღნიშნულის შესახებ. აღნიშნული

ალდებულების შეუსრულებლობა არ ათავისუფლებს მხარეებს ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულებების დარღვევით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან.

8.10. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, რომელთაგან თითო ეგზემპლარი გადაეცემათ მხარეებს.

მუხლი 9. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

მაესტრო: შპს ,,სტუდია მაესტრო" ს/კ: 236080557 იურ. მის: ქ. თბილისი, სოფ. დიღომი, დიდგორის #68/22 ფაქ. მის:ქ. თბილისი, ბელიაშვილის ქ. #8 საკონტაქტო ნომერი: ---------- დირექტორი ეთერ გადაბაძე ----------	მაუწყებლობის ტრანზიტზე ავტორიზებული პირი: შპს „ორბი" ს/კ:215118904 რეგ. მის: საქართველო, ქ. ფოთი, კოსტავას ქ., №22 საკონტაქტო ნომერი: 577442166 ელექტრონული ფოსტა: ceo@bst.ge დირექტორი მერაბ ჯორტავა ----------